„შეთანხმებულია"
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის
ტექნიკური დირექტორი

გ. თამაზაშვილი

10 ---------- 2026წ.

„ვამტკიცებ"
თბილისის ფეხბურთის
ფედერაციის პრეზიდენტი

გ. ცაავა

9 ---------- 2026წ.

2026 წლის „თბილისის ლიგის" ჩემპიონატების
რეგლამენტი

1. მიზანი და ამოცანები

- ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია;
- საფეხბურთო გუნდებისთვის რეზერვების მომზადება;
- საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევა;
- 2012, 2013, წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.

2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

„თბილისის ლიგის" გათამაშებას ხელმძღვანელობას გაუწევს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში თფფ). ჩემპიონატების ორგანიზაცია ევალება თფფ-ს საშეჯიბრო განყოფილებას. მატჩები ჩატარდება თფფ-ს მიერ დამტკიცებული კალენდრების მიხედვით.

3. მონაწილე გუნდები

3.1. „თბილისის ლიგაში" სათამაშოდ დაშვებული იქნებიან: თბილისის და თბილისის რეგიონის საფეხბურთო სკოლების გუნდები. ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური ფედერაციების თხოვნისა და სფფ-ს რეკომენდაციის საფუძველზე, რეგიონების გუნდები, რომლებიც დააკმაყოფილებენ თფფ-ს მოთხოვნებს.

3.2. თფფ-ს მიერ ორგანიზებულ „თბილისის ლიგის" გათამაშებაში ორ ასაკობრივ ჯგუფში, 2012,2013, წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის გამოვლინდებიან გამარჯვებულები. 2014, 2015, 2016, 2017 და 2018 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის გამარჯვებულები არ გამოვლინდებიან.

4. ჩემპიონატების ფორმატი

ჩემპიონები და პრიზიორები 2012, 2013, წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის გამოვლინდებიან თფფ-ს ოფიციალურ საიტზე (tbff.com.ge.) მითითებული კონკრეტული ფორმატით, 2014, 2015, 2016, 2017 და 2018 წწ. დაბადებული ჭაბუკების ტურნირების ფორმატები მითითებული იქნება ასევე თფფ -ს ოფიციალურ საიტზე.

4.1. მატჩების ხანგრძლივობა: 2012 – 70 წთ; 2013- 60 წთ; 2014, 2015, 2016 – 50 წთ ; 2017, 2018 – 40 წთ. ყველა ასაკში შესვენება გრძელდება 10 წუთი.

4.2.. ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა, მხოლოდ 2012 – 2013 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირებში.

4.3.. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში (ყველა ეტაპზე) ადგილები გაირკვევა შემდეგნაირი პრიორიტეტული პრინციპით:

- უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები.

- მოგებათა მეტი რაოდენობა;

- ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

- გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;

- თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

4.4. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია, შეხვედრის დაწყებამდე 45 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს არა უმეტეს 20 მოთამაშისა. ყოველ ფეხბურთელს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომერი მაისურზე. ასევე სავალდებულოა ყველა ფეხბურთელის და გუნდის ხელმძღვანელების ბარათების ლამინირება.

4.5. მატჩის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი;

4.6. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი. მატჩის ოქმში შეყვანილი უნდა იყვნენ ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდებობა), მწვრთნელი, ექიმი, სათადარიგო ფეხბურთელები (9 მოთამაშე), რომლებიც თამაშის დროს სხდებიან სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში. მინდვრიდან გაძევებულ ფეხბურთელს სათადარიგოთა სკამზე ყოფნა ეკრძალება;

4.7. მატჩის მსაჯები ვალდებული არიან, შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა მოთამაშის ბარათები. ის მოთამაშე, რომელსაც მოთამაშის ბარათი არ გააჩნია, მატჩზე არ დაიშვება. უშუალოდ მატჩის დაწყების წინ და ფეხბურთელის შეცვლის დროს მსაჯთა ბრიგადა ვალდებულია, მოახდინოს მოთამაშის ბარათის და მოთამაშის ვიზუალური შემოწმება.

4.8. იკრძალება ერთი ფეხბურთელის ორ სხვადახვა გუნდში თამაში.

4.9. გუნდებს უფლება ეძლევათ თავისივე კლუბის 3 ფეხბურთელის დამატებისა, ,, თბილისის ლიგიდან ", ელიტ ლიგიდან და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული ჩემპიონატიდან თუ შეესაბამება იმ გუნდის ასაკს, სადაც აპირებს ფეხბურთელი თამაშს.

4.10. გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს. მსაჯები აგრეთვე ეცნობიან მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, მსაჯების მოთხოვნით ფორმა უნდა

გამოიცვალოს მასპინძელმა გუნდმა. მოედანზე მყოფ ფეხბურთელებს ეკრძალებათ წვივსაფრის გარეშე თამაში;

4.11. ,,თბილისის ლიგაზე'' მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია, თითოეულ თამაშზე მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 3 სათამშო ბურთი.

4.12. მასპინძელი გუნდი ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, უზრუნველყოფილი ავტოტრანსპორტით, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივ წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა;

4.13. მატჩის გადატანაზე და თარიღის შეცვლაზე გადაწყვეტილების მიღება ევალება თფფ-ს. გუნდების თხოვნა მატჩის თარიღის შეცვლაზე დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გუნდები წინასწარ 3 დღით ადრე შეთანხმდებიან მატჩის ახალ თარიღზე, უახლოეს სარეზერვო დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილებას მიიღებს თფფ.

4.14. ,,თბილისის ლიგის'' გათამაშებაში 2012 და 2013 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის ნებადართულია მატჩის ოქმში შეყვანილი ყველა ფეხბურთელის შეცვლა, უკუშეცვლა აკრძალულია. 2014, 2015, 2016, 2017, 2018 ასაკობრივ ტურნირებში უკუშეცვლა ნებადართულია. ყველა ტურნირში შეცვლა ნებადართულია, მატჩის გაჩერების შემთხვევაში.

4.15. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე;

4.16 გუნდებს შეუძლიათ, ოფიციალურად (მინიმუმ 3 დღით ადრე მატჩამდე თფფ - ში შემოტანილი წერილის საფუძველზე) მოითხოვონ თამაშების გადატანა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებებში გამოძახებული მათი 5 ან მეტი ფეხბურთელი; ასევე თუ გუნდი მონაწილეობს ქვეყნის საზღვრებს გარეთ მიმდინარე ტურნირში.

4.17. მატჩის დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.

5. გუნდების განაცხადების გაფორმება

5.1 გუნდებმა განაცხადები თფფ-ში, უნდა წარმოადგინონ ჩემპიონატის პირველ მატჩამდე.

5.2. გუნდის განაცხადი მოწმდება საფეხბურთო სკოლის დირექტორის (პრეზიდენტის) ხელმოწერით და ბეჭდით, ასევე სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ბეჭდით. ან წარმოდგენილი უნდა იყოს ინდივიდუალური ჯანმრთელობის ცნობები.

5.3. გუნდის განაცხადი დგება 2 ეგზემპლარად. განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ საფეხბურთო სკოლის წესდების და რეგისტრაციის ასლები, ფეხბურთელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი პასპორტი, ან პირადობის მოწმობა. (მათი არქონის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი.)

5.4. გუნდიდან გუნდში მოთამაშის გადასვლა ნებადართულია ნებისმიერ დროს სეზონში ერთხელ 1 ოქტომბრამდე.

განაცხადში ფეხბურთელის რაოდენობა შეუზღუდავია.

5.5. ჩემპიონატის საწევრო თანხა განისაზღვროს შემდეგნაირად;

2012 - 2013 წ. დაბადებულ ჭაბუკებში ------- 3000 (სამიათასი) ლარი

2014 – 2016 წ. დაბადებულ ჭაბუკებში -------- 1800 (ათას რვაასი) ლარი

2017- 2018 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --------- 1400 (ათას ოთხასი) ლარი

თფფ-ს საბანკო რეკვიზიტებია:

ა(ა) იპ. ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია

ს.კ. 202886519

ს.ს ,,ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი LBRTGE22

ანგარიშის ნომერი GE36LB0115112049422000

მონაწილეობის თანხა უნდა ჩაირიცხოს თფფ-ს ანგარიშზე 2026 წლის სეზონის დაწყებამდე.

5. 6. თუ ტურნირებში მონაწილე გუნდები რაიმე მიზეზით მოიხსნებიან გათამაშებიდან, მონაწილეობის თანხა გუნდებს არ დაუბრუნდებათ.

5.7.ფინანსური დავალიანების გამო, თფფ უფლებამოსილია მოხსნას გუნდი ტურნირის ნებისმიერი ეტაპიდან.

6. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

2012 – 2013 წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის - 11X11 მოედნის ზომა: სიგრძე 90-110, სიგანე 45-70მ, კარის ზომა 7.32 X 2.44.

2014 – 2016 წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის - 9 X 9 მოედნის ზომა: სიგრძე 60 – 70მ, სიგანე 40 – 50მ, კარის ზომა 5 X 2.

2017 - 2018 წ. დაბადებულ ჭაბუკებშს შორის - 7 X 7 მოედნის ზომა: სიგრძე 40 X 50მ, სიგანე 25-35მ, კარის ზომა 3 X 2

7. მსაჯობა

7.1 აღნიშნულ ჩემპიონატებს მოემსახურებიან სფფ-სა და თფფ-ს მიერ რეკომენდირებული მსაჯები. მათი მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს თფფ. რეგიონის გუნდები დამატებით აანაზღაურებენ მსაჯების ტრანსპორტირების ხარჯებს.

7.2 მსაჯი ვალდებულია, მატჩის ტექნიკურ ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილების და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით, დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით და ამის შესახებ 24 საათის განმავლობაში თფფ-ში წარადგინოს მოხსენებითი ბარათი საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებით (მსაჯის მოხსენებით ბარათს თან უნდა ერთვოდეს გაძევებული ფეხბურთელის მონაწილის ბარათი), ხოლო მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შეთხვევის შესახებ მსაჯმა იმავე დღეს უნდა აცნობოს თფფ-ს ტელეფონით;

7.3 ექსტრემალური სიტუაციის გამო მატჩის დაწყების ან დაწყებული მატჩის შეწყვეტის საკითხს წყვეტს მატჩის მთავარი მსაჯი;

7.4 მსაჯი ვალდებულია, მატჩის დამთავრების თანავე თფფ-ს აცნობოს თამაშის შედეგი.

7.5 მსაჯი ვალდებულია, მატჩის ოქმში გააფორმოს გუნდის მატჩზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს თფფ-ს..

7.6. 2017 და 2018 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის ტურნირებზე ნებადართულია მეკარის ხელით თამაში, პარტნიორისგან მიღებულ ბურთზე.

7.7. მსაჯი ვალდებულია, მატჩის ოქმი მეორე დღეს წარმოადგინოს თფფ-ში.

7.8. 2014, 2015, 2016, 2017, 2018 წლებში დაბადებულთა ტურნირებში მეკარეს კარიდან ბურთის გათამაშება შეუძლია ხელით ან ფეხით თუ ბურთი დაფიქსირებულია მიწაზე.

8. საჩივრის შეტანის წესი

8.1 გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია, საჩივრის შემთხვევაში მატჩის დამთავრებისთანავე გააფრთხილოს მოწინააღმდეგე გუნდის ხელმძღვანელობა და მთავარი მსაჯი.

8.2 მატჩის შესახებ საჩივარი გუნდმა უნდა წარმოადგინოს თფფ-ში 24 საათის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი არ მიიღება. საჩივართან ერთად მომჩივანმა კლუბმა თფფ-ში უნდა შეიტანოს 200 ლარი. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში თანხა დაუბრუნდება მომჩივან გუნდს.

6.3 არ მიიღება საჩივარი თამაშის დროს მსაჯის შემდეგ გადაწყვეტილებებზე.
ა) დაინიშნა თუ არა თავისუფალი, საჯარიმო ან 9 მ დარტყმა.
ბ) ბურთის გადასვლაზე მოედნის ფარგლებს გარეთ.
გ) ჩათვლილ ან არჩათვლილ გოლზე.
დ) გაფრთხილებაზე ან გაძევებაზე.
ე)დაფიქსირდა თუ არ დაფიქსირდა თამაშგარე.

9 სადისციპლინო სანქციები

გამოყენებული იქნება სფფ-ს მოზარდთა ლიგის სადისციპლინო კოდექსი. ცალკეული ინციდენტები (თუ მათ ექნებათ ადგილი) განსახილველად გადაეცემა სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტს.

10 დაჯილდოება

თბილისის ლიგის 2012, 2013, წწ. დაბადებულ ფეხბურთელთა ტურნირებში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებითა და თასებით.

10.02.26.